პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 172 (19613) ◆ კვირა, 27 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

26 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, მოთხოვნათა შესახებამისად უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. გ. ლეკოშვილი, თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების „კრწანისის“ მოტორისტი მკერავი ნ. მ. პანკოვა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაკაშვილი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე ი. ჰ. ტარკილი, საქართველოს სსრ პროკურორი ვ. ა. რაზმაძე, აბერის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე თ. ვ. ბაზიაშვილი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. კაჩმაზოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ხ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის“ გამომცდელი მძღოლი ბ. ი. ვაშაკიძე, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი კ. ხ. მამედოვი, თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი თ. ნ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. ვ. გორგოძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, გორის რაიონის ხვითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ი. ხ. სამხარაძე, მწერალი მ. შ. ჯოხაძე, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი რ. შ. მხეიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკის ბიოტექნოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ვ. ი. ბახუტაშვილი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი.

კრებამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ეკონომიკური ექსპერიმენტის ფართო ფრონტზე ინიციატივა გამოიჩინეს, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ეფექტიანად ებრძოლნენ ეკონომიკურ დანაშაულებს, ეფექტურად ებრძოლნენ ეკონომიკურ და სოციალურ გადუნაორებას, რომლის საწინააღმდეგოდ, ეფექტურად ებრძოლნენ [illegible] სიღარიბე დიდნაოვანეს — [illegible] სადმი მზრუნველი დამოკიდებულება, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

ამავე დროს თანამიმდევრულ და დაჩქარებულ წინსვლას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების სრულ დამკვიდრებას, საზოგადოების სულიერად მდიდარი, იდეურად მტკიცე წევრთა აღზრდას ჯერ კიდევ უშლის ხელს ხაბჭოთა სინამდვილისათვის უცხო გამოვლინებანი, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ პირთა მისწრაფებასთან უკანონო გზით გამდიდრდნენ და მიიღონ დაუმსახურებელი სიკეთე სახელმწიფოსა და სხვა მოქალაქეთა ხარჯზე. რესპუბლიკაში მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით წარმოებს შეუპოვარი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, აღებულია ისეთი მუშაკებისგან პარტიული, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის გაწმენდის კურსი, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ.

ამ მუშაობას ახალ გაქანებას აძლევს ამას წინათ მიღებული პარტიულ-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის გამიზნული ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების მთლიან კომპლექსურ პროგრამას. ამოცანა ის არის, საზეგანით აღინიშნა კრებაზე, რომ მარჯვედ წარმართოთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების, შრომითი კოლექტივების მეცადინეობა, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მივაღწიოთ საბჭოთა კანონების, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

პარტიული აქტივის კრებამ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ყოველ შრომითს კოლექტივში შექმნან ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, აღმოფხვრან ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ყველა მოვლენა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ თანამედროვე ეტაპზე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა რეალიზაციაში.

დამტკიცდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

(საქინფორმი).



ალოობა-86

ᲐᲦᲬᲔᲛᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ რაიონში მარცვლეულის აღება პირველებმა სოფელ ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა დაიწყეს. მეურნეობის მხვნელ-მთესველები მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ. ყოველ ჰექტარზე ისინი 30-33 ცენტნერ მარცვლეულს იღებენ გეგმით გათვალისწინებული 25 ცენტნერის ნაცვლად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მკა საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲕᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲝᲗ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔᲑᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი 1986 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შედეგების შესახებ და შეიღო სათანადო დადგენილება.

აღნიშნულია, რომ ქვეყანაში გაშლილმა მუშაობამ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის მითითებათა, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად გამიზნული პარტიის კურსის განხორციელებაში მშრომელთა აქტიურმა მონაწილეობამ დადებითი შედეგები მოიტანა 1986 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულებაში.

ამ მიღწევაში თავისი წვლილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას და, კერძოდ, მრეწველობას. სახაქონლო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, დავალების გადაჭარბებით 84,5 მილიონი მანეთის პროდუქცია დამზადდა, რომლის უდიდესი ნაწილი რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოთა წილად მოდის. ისიც აღსანიშნავია, რომ იმ საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც თავს ვერ ართმევენ პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმებს, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 28-ით შემცირდა.

ფიან, ეს ჯეშმარიტებაა, მაგრამ სწორია ისიც, რომ ივნისის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფოს გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ შეასრულა, რისთვისაც ჩვენი რესპუბლიკა გაკრიტიკებულია ზემოხსენებულ დადგენილებაში. მაგალითად, სახაგრომრეწვის საწარმოებმა 15573 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს მომხმარებლებს ივნისში, ხოლო ადგილობრივი მრეწველობისამ — 1269 ათასი მანეთისა. ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ ივნისის გეგმა მხოლოდ 49,1 პროცენტით შეასრულა. ძალიან ცუდად იმუშავეს „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებამ, კაჭრეთისა და ლილოს რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნებმა, ქუთაისის მოტობლოკების და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხნებმა, „კოლხეთმშენის“ ტრესტის სპეციალიზებულმა უბანმა და სხვებმა.

როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მათი რაოდენობა მაინც ძალზე დიდია. უკან ეწევა საქმეს 55 საწარმო. ვერ იქნა და ვერ გაუმჯობესა მდგომარეობა ჯვარის საცდელ-სპეციალიზებულმა ქარხანამ, საქთვალმრეწვამ, მოისუსტებენ რუსთავის თუჯსხმულების ქარხანა და მთელი რიგი სხვა საწარმოები.

რა შეიძლება ითქვას ამის თაობაზე? ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელები რეალური მდგომარეობის გასამართლებლად მრავალ მიზეზს იშველიებენ ხოლმე. ზოგიერთი ამ მიზეზთაგანი არც თუ უსაფუძვლოა, მაგრამ არა მთავარი. საქმე ის არის, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა დიდ ნაწილში ძალიან ნელა ან სრულიადაც არ მიმდინარეობს გარდაქმნები; ძნელად ეგუებიან გარდატეხის ცნობას, სუსტია შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ნაკლებად ზრუნავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, აყოვნებენ დანადგართა განახლებას, რეკონსტრუქციას, მოწყობილობის მოდერნიზაციას, ვერ ინარჩუნებენ კადრებს, რაც ძირითად აწევებს წარმოებას. საკმაოდ საგრძნობია ძველებურად მუშაობის, დრომოჭმული ინერციის ძალა, ფორმალური სოციალისტური შეჯიბრება. სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები საგნობრივად უნდა გაერკვნენ საწარმოების ჩამორჩენის მიზეზებში, ღრმად გააანალიზონ საქმის ვითარება, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად და ფეხდაფეხ მისდიონ მათ განხორციელებას, სხვანაირად ვერაფერს გაეხდებით.

დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ვერ იცავენ სახელშეკრულებო დისციპლინას. ამ მხრივ არც ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაშია საქმე სასარბილოდ. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მონაცემებით პროდუქციის მიწოდების ვალდებულებას ვერ ასრულებს ყოველი მეექვსე საწარმო. იმათ შორის, რომლებიც არღვევენ სახელშეკრულებო დისციპლინას, არიან საკავშირო დაქვემდებარების დიდი საწარმოები — „რუსთავის „აზოტის“, ქუთაისის სატომობილო ქარხნის, „საქქვანასხრარის“ საწარმოო გაერთიანებები, ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების, რუსთავის თუჯსხმულების და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ საწარმოთა დიდი ნაწილი. არადა, იმ საწარმოთა უმეტესობა, რომლებიც თავს ვერ ართმევენ მიწოდების ვალდებულებას, გადაჭარბებითაც კი ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის საერთო დავალებებს, მუშაობენ ინერციის ძალით, ფეხს ვერ უწყობენ დროის მოთხოვნებს.

დადგენილებაში აისახა ისიც, რომ ჩქარდება განვითარების ინტენსიური უაქტორების გამოყენების პროცესი. იეულისსმება შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდის, თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

მიმდინარე წლის იანვარ-მაისთან შედარებით, წლის პირველ ნახევარში, შრომის ნაყოფიერების ზრდის მიმართულებით მდგომარეობა საგრძნობლად გართულდა. ხუთ თვეში შრომის ნაყოფიერების დონე შეამცირა 257 საწარმომ, ხოლო ნახევარი წლის მონაცემებით ამ ციფრს კიდევ დაემატა 30, და ეს ძალზე სერიოზული შეფერხებაა. სამრეწველო წარმოების მატებამ შრომის ნაყოფიერების ზრდის სარჯზე მხოლოდ 71,4 პროცენტი შეადგინა, ხუთ თვეში კი ეს მაჩვენებელი ფრიად დამაჯერებელი იყო. განსაკუთრებით ბევრია ამ მხრივ ჩამორჩენილი საწარმოები რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, პუროპროდუქტებისა და საავტომობილო გზების სამინისტროების, სახმომარაგების, სახაგრომრეწვის, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სისტემებში. არ უნდა დაუშვან ჩამორჩენა და სათანადო კონკრეტული ღონისძიებები განახორციელონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის მაღლეკონიერებელი კომბინატის, „ნარმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, თბილისის ელექტროშესადღელი მოწყობილობისა და საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტების, აგრეთვე რუსთავის თუჯსხმულების ქარხნების კოლექტივებმა.

დაჩქარების მთავარი შემადგენელი პირობაა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პლუს წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. მათ უნდა იმოქმედონ საინვესტიციო პოლიტიკასთან ორგანული ერთიანობითა და მჭიდრო შესაბამებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმზე აღინიშნა, რომ განელილ ხუთწლედში 20 წელზე მეტი ხნის მოწყობილობის ხვედრითი წილი თითქმის გაორკეცდა. ეს მეტად არასასიამოვნო ფაქტია და ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ უნდა დაჩქარდეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დანერგვა, დანადგართა პარკის განახლება, ტექნოლოგიური პროცესების დახვეწა, მსოფლიო ნიმუშების შესაბამისი პროდუქციის ათვისება და მისი სერიული გამოშვება. მაჩვენებლებენელ საწარმოებში წლის პირველ ნახევარში დაინერგა 14 სამრეწველო რობოტი, ხუთი ნაკადურ-მექანიზებული ხაზი, შესრულდა აგრეთვე სამხმელო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის დავალება და სხვა. საერთოდ, რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან დაკავშირებული ნავარაუდევი 141 ღონისძიებიდან განხორციელდა 133.

საჭირო შეიქმნას წარმოების განახლების კომპლექსური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაწარმის ტექნიკური დონის ამაღლებას, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გაუმჯობესების, მოწყობილობის ორ-სამ-ცვლიან მუშაობაზე გადასვლის დავალებათა შესრულებას.

დადგენილებაში გამოთქმულია რწმენა, რომ პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკურ, ორგანიზატორულ და აღმზრდელობითს მუშაობას მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის სულისკვეთებით შრომითი კოლექტივების საქმიანობის გარდაქმნას, ინიციატივისა და შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ხელს უშლის განვითარების დაჩქარებას.

ფართოდ გაეშალოთ სოციალისტური შეჯიბრება მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, გაბედული გეგმებისა და ჩანაფიქრების პრაქტიკული მოქმედების ენერგიად გადაქცევისათვის, არავითარ შემთხვევაში არ დაეშვათ ჩამორჩენა!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲓᲐᲕᲩᲥᲐᲠᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲜᲘ

1986 წლის პირველ ნახევარში რეგიონებისა და მთლიანად რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციები გააანალიზა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გმართულმა პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირმა.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ექვსი თვის შედეგები, სამწუხაროდ, ისეთი არ არის, როგორიც უნდა ყოფილიყო. დაშვებულია ჩამორჩენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით. ამიტომ დღეს პარტიული კომიტეტების მთავარი ამოცანაა მოაგვაროონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა პრაქტიკული შესრულება, მიაღწიონ, რომ ყოველ შრომითს კოლექტივში გაიშალოს კონკრეტული ორგანიზატორული მუშაობა ამ მიმართულებით და მთელი ეს მუშაობა უნდა დაექვემდებაროს წლის დავალებათა უთუო შესრულებას, შემდგომ პერიოდში მუშაობის ეფექტიანობის მტკიცე საფუძვლის შექმნას.

თათბირზე, კერძოდ, განსაზღვრა პარტიული და საბჭოთა ორგანოების საარსებო ამოცანები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებელი მრეწველობის, საქონელბრუნვის გეგმების შესრულებისათვის. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა იმპორტული მოწყობილობისა და ლიცენზიების უფრო ეფექტიანი გამოყენება, საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისათვის პასუხისმგებლობის გაზრდა. კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს და დაიხვეწოს სახალხო განათლებისადმი, მეცნიერების, მედიცინის, კულტურის სფეროსადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დისციპლინური პრაქტიკა, გამოავლინეს დამბაშვილების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კონკრეტული გზები და შესაძლებლობანი. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იდეოლოგიური მუშაობის გარდაქმნას, უახლოესი პერიოდისათვის საქალაქო, რაიონული კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის სრულყოფის აქტუალურ საკითხებს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი.

(საქინფორმი).

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲡ ᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲩᲔᲣᲚᲜᲘ

რესპუბლიკაში გაიმართა ამომრჩევლებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შეხვედრების ერთიანი კვირეული

ᲐᲮᲚᲐᲠ აქვთ ბავშვთა დასვენების ორგანიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები თბილისის ვარკეთილის რაიონის მცხოვრებლებს, რომლებიც ახალი კონსტიტუციის საარჩევნო ოლქს წარმოადგენენ. აქ საცხოვრებელ ადგილას მოზარდთა კლუბის შექმნით, სკვერების გაშენებით, სპორტული და საბავშვო მოედნების მოწყობით შესრულდა განაწესები, რომლებიც მათ თავიანთ დეპუტატებს მისცეს. თუმცა, მარტო ეს საკითხი როდი მოიხსნა დღის წესრიგიდან. ახალი სატრანსპორტო მარშრუტი, რძის პავილიონის გახსნა, მთელი რიგი საცხოვრებელი კორპუსების კაპიტალური რემონტი, მაკრორაიონის ტერიტორიის კეთილმოწყობა — ამ ამოცანების შესრულებაც მოახსენა ამომრჩეველებს შეხვედრაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ქალაქ თბილისის პარტიის საქარხნო რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. შოშიტაიშვილმა.

ამგვარი შეხვედრები, მათი რიცხვი კი 400-ს აღემატება, გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ერთიანი კვირეულის ფარგლებში. ისინი მოეწყო სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მშრომელთა დარაზმვის ნიშნით. ამ შეხვედრებზე საგნობრივი, საინტერესო სკკპ-ბაასი გაიმართა სამეურნეო და კულტურული მშენებლობაში მისი მშრომელების მიერ მიღწეული წარმატებებისათვის, ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკის განვითარებაში დიდი წვლილისათვის ვლადივოსტოკი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

მის (სახელოვან ისტორიას ვკითხულობთ ქუჩების სახელწოდებებზეც და ბრინჯაოს მონუმენტებშიც. იგი ჩვენს გულს აჯერებს კრეისერ „ვარიაგის“ გმირჯვების, იმათი მოგონების, ვინც იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზღვისპირეთში, იცავდა სამშობლოს დიდი სამამაცო ომის წლებში.

ამ ქუჩებმა თითქოს ქალაქის წარსული მის აწმყოსა და მომავალს დაუკავშირეს. მათ მივყავართ ქარხნის შესასვლელებსა და ნავმისადგომებისაკენ, ინსტიტუტების კორპუსებისა და სამშენებლო მოედნებისაკენ. წონადია ვლადივოსტოკის ყოველი სამუშაო დღე: დღე-ღამეში ზღვისპირეთის მხარის დედაქალაქი 6,5 მილიონ მანეთისაზე მეტ პროდუქციას აწარმოებს.

ამ ციფრს შიფრავს აქ ეს-ეს არის გამოქვეყნებული მხარის სტატისტიკური სამმართველოს ცნობა. ზღვისპირელებმა წარმატებით შეასრულეს წლის პირველი ნახევრის დავალება. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოების საერთო მოცულობის მატებამ 5,2 პროცენტი შეადგინა.

იგი მეტიც შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ ყველგან როდი ისწავლეს ჯერჯერობით ისე მოქმედება, როგორც ამას დრო მოითხოვს.

როგორც ვშრომობთ, ისე ვცხოვრობთ კიდეც. კარგი ცვლილებები ყველგან შეინიშნება. წლის დამდეგიდან მწყობრში ჩადგა 52 მექანიზებული და ავტომატური ხაზი — ეს ათასობით ადამიანის უფრო ადვილი და შემოქმედებითი შრომაა, წინანდელზე უკეთესია პროდუქციის ხარისხი. ეს არის აგრეთვე შრომის გადიდებული ანაზღაურება — უფრო ინტენსიური მუშაობის პირდაპირი შედეგი. ეს არის ახალი სკოლები და საბავშვო ბაღები. შორეული აღმოსავლეთი ახალმოსახლეთა მხარეა.

— ჩემს ხელში უბრალოდ საშენებელო მექანიზმები კი არა, არამედ მშობლიური მხარის მომავალი, მისი განვითარების ტემპია, — დარწმუნებულია მემონტაჟეთა ბრიგადირი ვ. ოსიპენკო, კაცი, რომელსაც კარგად იცნობენ არა მარტო ვლადივოსტოკში, არამედ მთელ ზღვისპირეთშიც.

სამი ხარისხის შრომითი დიდების ორდენის კავალერმა, პარტიის სამხარეო კომიტეტის წევრმა ვ. ოსიპენკომ, რომელიც შრომის ორგანიზაციაში ნოვატორი და მუშათა კოლექტივის კარგი აღმზრდელი გახდა, ავტორიტეტი მოიპოვა სამშენებლო მოედნებზე. ჩასაბარებლად მზადდება მორიგი მრავალბინიანი სახლი. ახალმოსახლეები მას მკაცრი გრაფიკით „გთვალისწინებულზე ორი კვირით ადრე მიიღებენ. ასე გადაწყვეტა ვასილ ათანასეს ძე ოსიპენკოს ოცდასამმაგე ამხანაგმა. გადაწყვეტეს და მიზანსაც აღწევენ.

ბრიგადის კანონია რკინისებრი დისციპლინა. მხოლოდ ასე შეიძლება შევახამოთ ნაყოფიერების ზრდა და ბინების ხარისხის გაუმჯობესება. ეს კი დროით ნაკარნახები აუცილებლობაა.

ბრიგადაში კარგად გააზრებული ორგანიზაციული და ეკონომიკური ბერკეტები მოქმედებს. მაგრამ კოლექტივის მეთაურს მიზნის მიღწევის ძირითად საშუალებად მიაჩნია ადამიანთა მუშაობა — ყველა მისი ფორმით. ისინი საქმის მომდინარეობის კვალობაზე იშვება.

ახლახან ბრიგადის ცხოვრებაში რთული მომენტი დადგა, როცა მემონტაჟეებს, მომპირკეთებლებს რომ დახმარებოდნენ, უნდა დაეწყოთ შპალერების გაკვრა. მოიარა სალამის ვასილ ოსიპენკომ სამუშაოთა ფრონტი და ითხოვა რამდენიმე ოთახში ყველფერი თავიდან გაეკრათ.

— რას გვერჩით, ჩვენ მემონტაჟეები ვართ, — უთხრა მას რამდენიმე მუშამ. — როგორ გნებავთ, რომ ვაკრათ?

— ისე გაკრათ, როგორც შინ გაკრავდით, ბიჭებო, — ურჩია ბრიგადირმა.

მას შემდეგ სიტყვები „როგორც შინ“ გახდა ის საზომი, რომლითაც კოლექტივი ყოველ შესრულებულ სამუშაოს აფასებს. ვურეკავთ სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილეს კლავდია ანსიმოვას:

— რამდენი ბინა ჩაბარდა ვლადივოსტოკში განვლილ დღეღამეში?

ქალბატონ კლავდიას პასუხი ამსოლუტურად ზუსტია: 2900 კვადრატული მეტრი. ეს ნიშნავს, რომ ხუთწლედის პირველი წლის ყოველ სამუშაო დღე-ღამეში გასულ ხუთწლედთან შედარებით საშუალოდ 370 კვადრატული მეტრით მეტი ახალი საცხოვრებელი ფართობი გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ეს მატება 7-8 ბინას უდრის. მაგრამ ესეც ცოტაა.

რა მჭიდროდ გადასჭდობია ვლადივოსტოკელთა ბედი ზღვას! წელიწად-ნახევრის წინათ, როცა მომავალი მეზღვაურის ალექსანდრე რიბაკოვის ახალგაზრდა ოჯახში დაიბადა ვლადივოსტოკის მეექვსესართასა მცხოვრები — დიმა, მის მოსალოცად მოვიდა მეორე იუბილარი, უკვე სტაჟიანი, ზღვისპირეთის დედაქალაქის მეხუთასიათასა მცხოვრები — 11 წლის პაველ კრასავინი, აგრეთვე შთამომავლობით მეზღვაურთა ვაჟი. და გვკერა, რომ მომავალი იუბილარიც ზღვის შვილი, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ფორპოსტის ათვისების სახელოვანი შრომითი მატიანის გამგრძელებელი იქნება.

ზღვისგან, მით უმეტეს ოკეანისაგან, დარსა და ალბალს არავინ ელის. მას შრომით მოიპოვებენ. კარგი ამინდის მოლოდინში კი არ უნდა ვიყოთ, იგი თავად უნდა შეექმნათ, ამბობენ ზღვისპირელები, — დღეს სწორედ ეს ნიშნავს ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ ახლებურად. ეს ნიშნავს თავიდან მოვიშოროთ წარსულის ტვირთი, ხელი ავიღოთ ორგანიზაციული უგერგილობის, სამეურნეო შეცდომების იმ უბადაღებული ობიექტური მიზეზებით გამართლების ჩვევაზე, რომ გვაკლია კადრები, ზუსტად არ მუშაობენ მომიჯნავეები, რომ ძნელი კლიმატური პირობებია. ვლადივოსტოკის გეოგრაფიული კოორდინატები, როგორც აქ ხუმრობენ, — ეს არც ისე სასიამოვნო ბუნებრივი კოქტეილია. „ბანდი სოჭისაა, გრძედი კი კოლიმისა“.

ოკეანის ქარტეხილებში გამოწრთობილი, სიძნელეების წინაშე უდრეკი ადამიანები ვლადივოსტოკში ათასობით არიან და ძალზე საჭირო, რომ მათ შორის ყველაზე თავდადებულები კომუნისტები, პარტიული წინამძღოლები იყვნენ.

— დღეს ჩვენთვის ყველაზე გადაუდებელი საქმეა კომუნისტების მუშაობა მასებში, მათი პირადი მაგალითი, — თქვა სკკპ პერვომაისკის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ეგოროვამ. — ყრილობის დამთავრებისთანავე მოვაწყვეთ რაიონის ძირეული პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობის დათვალიერება და დავრწმუნდნით: მრავალ პარტიულ უჯრედს აკლია მთავარი რამ — იმის უნარი, რომ მრავალი საზრუნავიდან გამოყოს დღის ძირითადი, გადამწყვეტი ამოცანა. მშენებლებისათვის ასეთი ამოცანა გახდა კომპლექსური ბრიგადების ორგანიზაცია, საწარმო საამქროსათვის — მოწყობილობის მოდერნიზაცია, კვლის ინდუსტრიისათვის — სრული რეკონსტრუქცია მუშაობის შეუწყვეტლივ, სახლთაშენებელი ინდუსტრიისათვის — სამონტაჟო სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაცია.

სამუშაო დღის შემდეგ ხალხმრავლობაა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარეობს საფირმო სავაჭრო ცენტრი „ოკეანე“. ლამაზ, საინტერესოდ გაფორმებულ დარბაზებში ორივე სართულზე მუდამ უამრავი ხალხია, მაგრამ რიგი არ დგას. პროდუქტები ბევრია, და სამუალოდ თვეში ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქციას აკდულობენ.

— მადლობა მებადურებსა და დამამუშავებლებს, — თქვა მაღაზიის დირექტორმა კ. გორეოვამ. — ყოველთვის სულ ცოტა 140 სახეობის პროდუქტი გვაქვს. არჩევანი დიდია. მაგრამ „ოკეანეებს“, და არა მარტო „ოკეანის ნაპირას განლაგებულებს, შეუძლიათ და კიდევ უნდა შეიტანონ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში. ამისათვის საჭირო პირობა ისეთივეა, როგორც სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში.

საუბრის დროს სულ ერთთავად გაისმის თბომავლების საყვირების ხმა — რეისზე გადიან სატვირთო გემები, შმობლიური ნავმისადგომებს უბრუნდებიან თევზდამჭერები. ბაზები და ტრაულერები. ვლადივოსტოკი ლამის ყოველ საათს საოკეანო გზაში ვიღაცას აცილებს ან ღიმილითა და ყვავილებით ეგებება ბამისად ჩვენი მუშაობის გარდაქმნაზე, იმაზე, თუ როგორ ვლინდება

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა — „საქჰიდროენერგომშენის“ სისტემაში ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის, რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სოფლის მოსახლეობის საყოველთაო დისპანსერიზაციის საკითხები.

ყაირათიანობა მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს

როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, საწარმოო-სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის“ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების გაუმჯობესების, საწვავის ეკონომიურად ხარჯვის, წამატებების აღკვეთის თაობაზე სადირექტივო ორგანოების მოთხოვნათა შესრულებას.

გაერთიანებაში წინა წელთან შედარებით 1985 წელს გაუარესდა სატვირთო ავტომობილების პარკის გამოყენებისა და გარბენთა კოეფიციენტები, შემცირდა მათი მწარმოებლურობა ტონა-კილომეტრებით, გაიზარდა ტვირთბიდვის თვითღირებულება და სატრანსპორტო ხარჯები, ამასთან ნორმასთან შედარებით 259 ტონა საწვავი გადახარჯეს.

„საქჰიდროენერგომშენის“ ქვეგანაყოფებმა არ იყენებენ ავტომისამელებს, არ ნერგავენ

სათანადო ყურადღება არ ეთმობა საწვავ-სპეროზი მასალების აღრიცხვას, შენახვასა და ხარჯვას. საწვავგამცემი სვეტები სახსტანდარტის ორგანოების მიერ შეფმოწმებულია, რეზერვუარები მოუწესრიგებელია. საწვავის გაცემა მუდამ არ ფორმდება სათანადო დოკუმენტებით.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მშენებლობის მექანიზაციის სამმართველოში (ყოფილი უფროსი ე. რისკოვი). აქ არ სრულდებოდა ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის, სატვირთო ავტომობილების მწარმოებლობის გეგმები, მნიშვნელოვნად გაიზარდა საწვავის ხვეღრითი ხარჯვა და 100 ტონაც გადაიხარჯა. მთავარი ინჟინრის ა. ზვიადაძის მხრივ ტექნიკური ხელმძღვანელობის გაუწევლობით ავტომანქანების 70 პროცენტი გაუმართავია და ხანგრძლივად ცდება. ასევე დიდი დარღვევა-ნაკლოვანებებია ავტოსატრანსპორტო საწარმოთა გაერთიანებაში. მარტო მეთაურ ავტოსატრანსპორტო საწარმოში 15 ავტომანქანა ერთ თვეზე მეტ ხანს იყო გაჩერებული, ხოლო ყოველი მესამე მანქანა ხაზზე ტექნიკურად გაუმართავი გადიოდა. ავტომანქანებისა და საბურავების ნაადრევად ჩამოწერის გამო სახელმწიფომ 6500 მანეთი იზარალა. როგორც აქ, ისე მეორე ავტოსატრანსპორტო საწარმოში დიდია საწვავის გადახარჯვის მაჩვენებლები.

მანქანების ცუდი გამოყენების ფაქტებს ხშირად წამატებათა საშუალებით ჩქმალავენ. დიდი წამატებანი გამოვლინდა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოში, მუშათა მომარაგების განყოფილებაში, სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის, საგზაო მშენებლობის სამმართველოებში.

კომიტეტის დადგენილებით, „საქჰიდროენერგომშენის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა გაერთიანების უფროსს დ. გაგოშიძეს გამოეცხადა საყვედური; მშენებლობის მექანიზაციის სამმართველოს მთავარ ინჟინერს ა. ზვიადაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დაეკისრა ერთი თვის ხელფასის შესაბამისი თანხის გადახდა; საყვედური გამოეცხადათ და ორ-ორი თვის ხელფასის შესაბამისი თანხის გადახდა დაეკისრათ სამოქალაქო და საბინაო მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ვ. იზორიას, მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილეს ა. თირქიასა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს მთავარ ინჟინერს დ. ჭითანავას, ხოლო საყვედური გამოეცხადა საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსს ზ. ძოწენიძეს. ამავე დროს სახალხო კონტროლის შესაბამის კომიტეტებს დაევალათ განიხილონ ამ შემოწმების მასალები და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის პასუხი აგებინონ დამნაშავე პირებს.

ჯანმრთელობას აფთიაქში ვერ იყიდი

სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია „ყვარლის“ ხობისა და ქარელის რაიონების სოფლის მოსახლეობის დისპანსერიზაციის საქმეში.

ყვარლის რაიონში არ არის დაზუსტებული სადისპანსერიზაციო კონტინგენტი, უბნის თერაპევტებს არა აქვთ ასაკობრივი სიები, დისპანსერული მეთვალყურეობა არ ეწევა ყველა ავადმყოფს; პირველადი დისპანსერიზაციის ჯგუფები არ არის გამოყოფილი ქარელისა და ხობის რაიონებშიც.

უხეში დარღვევებია ფეხმძიმე ქალების, ტუბერკულოზური და ონკოლოგიური ავადმყოფების აღრიცხვა-დისპანსერიზაციაში.

ძალზე სუსტია ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა და არასამედიცინო მიზნით ნარკოლოგიური ნივთიერებების გამმყენებელ პირთა აღრიცხვა-დისპანსერიზაცია. არ ეწყობა შესაბამისი გამოკვლევები და კონსულტაციები, პროფილაქტიკური მკურნალობა.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოზარდთა დისპანსერიზაციაშიც. მაგალითად, ყვარლის რაიონში ათასობით მოზარდიდან ექიმი მხოლოდ 306-ს ემსახურება, ისიც, ვინც სწავლობს და ცხოვრობს ყვარელში. არ ადგენენ და არ ახორციელებენ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების და ეტაპური ეპიკრიზების გეგმებს, არ ეწყობა სპეციალისტთა კონსულტაციები, ლაბორატორიული გამოკვლევები და ა. შ.

დარღვევები გამოვლინდა დიდი სამამულო ომის ინვალიდების დისპანსერიზაციის საქმეშიც. ზოგიერთი მთგანი შესაბამის სიებშიც კი არ არის შეტანილი.

ცოტიტეტის დადგენილებით, ყვარლისა და ქარელის რაიონების მთავარ ექიმებს ვ. ერგეშიძესა და თ. კედიას გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ხოლო ხობის რაიონის მთავარ ექიმს მ. ღადუას — საყვედური.

* * *

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვა საკითხებიც.

სიყალბემ თავი არ დამალა

ხულო რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეისწავლა დაწესებულებებში ტურისტული საგზურების გაცემაში არსებული მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ამ საქმეში მთელი რიგი დანაშაულებანი და დარღვევებია. მაგალითად, დაბა ხულოს კოლმეურნეობაში 1985-1986 წლებში საექსკურსიო საგზურებისათვის დახარჯულია 1800 მანეთამდე.

ვის მიეცა საგზურები?

კოლმეურნეობის რწმუნებულთა კრების ოქმში ფიქსირებულია, თითქოს ბრიგადირებს ა. ქამადაძესა და დ. ქედელაძეს საგზურები მიეცათ უფასოდ, საგზურები კი მათ არ მიუღიათ. ცხადია, ვიღაცამ უკანონოდ მიიღო მათთვის განკუთვნილი საგზურები. ქალაღმა საიდუმლო კარგა ხანი მალა, მალა, მაგრამ ბოლომდე ვერ დამალა.

საგზურები, მით უფრო, თუ ისინი უფასოა, რა თქმა უნდა, კოლმეურნეობის სახსრებიდან, წახალისების მიზნით უნდა მიეცეთ მოწინავე კოლმეურნეებს. მაგრამ მუდამ ასე როდი ხდება. შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს ფუშრუკაული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ზ. ბერიძემ, დიდაპარის კოლმეურნეობის აღიარა თავმჯდომარემ რ. წულუკიძემ და სხვებმა.

ზოგჯერ კოლმეურნეობის ხარჯზე უსაფუძვლო, შეიძლება ითქვას, დანაშაულებრივი ხელგაშლილობაცაა დაშვებული. მაგალითად, თხილვანის კოლმეურნეობიდან 275 მანეთი ღირებულების საგზური უფასოდ მიეცა ხულოს დოსაააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს თ. თავართქილაძეს. შემოწმებით დადასტურდა, რომ საგზურებისათვის ათასობით მანეთია დანაშაულებრივად და წესების დამახინჯებით დახარჯული.

ეს ფაქტები გვაფიქრებინებს, რომ ურიგო არ იქნება, თუ ტურისტული საგზურების გაცემის კანონიერება შემოწმდება სხვაგანაც ან იქნებ მთლიანად რესპუბლიკაში.

მ. გოგბილაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

მკაცრად

დაისაჯნენ

„კომუნისტს“ უკაკუნებენ ავტარის ასსრ ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანება

ავტოტრანსპორტის მუშაობის ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის სპეციალურ გვერდში „მასების კონტროლით“ დაბეჭდილი წერილი „ვის ახარებს უბილეთო მგზავრი“. ამის გამო ავარის ავტოსატრანსპორტო გაერთიანება გვატყობინებს:

ქობულეთის და ჩაქვის ავტოსაწარმოთა ხელმძღვანელების მხრივ საწარმოო დისციპლინისა და სუნზე კონტროლიორთა მუშაობისაგან. უურადღების შესუსტებამ გამოიწვია უბილეთო მგზავრთა გადაყვანის ფაქტების მატება.

ქობულეთის რაიონის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის მიერ მოწყობილი რეიდების სასუფევლზე ავტოსატრანსპორტო საწარმოთა ხელმძღვანელებმა მკაცრი ზომები მიიღეს, კერძოდ, ძმლოლები დ. ოქროპირიძე, ა. შაქარიშვილი და რ. ხაჩიშვილი განთავისუფლებულნი არიან სამსახურიდან, სხვები კი დასაჯნენ ადმინისტრაციული წესით. ბაკურიანი ტრასებზე გაძლიერდა კონტროლი. გაერთიანების სახალხო კონტროლის ჯგუფს დაევალა გააძლიეროს მასხბრივი რეიდების მოწყობა უართო აქტივის მონაწილეობით.

ხელმძღვანელი თვალს არიდებს!

ძნელი დასაჯერებელია, ახლა ჩვენში არავის გაეგოს და არ ახსოვდეს, რა მოხდა ამას წინათ თბილისსა და ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სალიბაურში, როგორ მოიწამლა ათობით ადამიანი, უმეტესად ბავშვები საკონდიტრო საცხობში უპასუხისმგებლოდ დამზადებული ტკბილღვეზლით, საღეჭი რეზინით. ცხადია, ეს მაგალითი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, მაგრამ ამან, რაც ტყიბულის ზონის საზოგადოებრივი კვების პროდუქტების დამამზადებელ და გამსაღებელ ობიექტებში ვნახეთ, გვაფიქრებინა, რომ აქაურ მუშაკებს გულთან ახლოს არ მიუტანიათ მომხდარი სამწუხარო ფაქტები, ან, როგორც ამბობენ ხოლმე, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად მიიჩნიეს, ოღონდაც რაც შეიძლება მეტი მოგება-საგებელი ენახათ.

ასე რომ არ იყოს, განა ტყიბულის საქალაქო სამრეწველო კომბინატის დირექტორი გ. ბოჭორიშვილი ერთხელ მაინც არ შეიხედავდა ხილის წყლების დამამზადებელ საწარმოში, ჩვეულებრივად ლიმონათის ქარხანას რომ ეძახიან, და აჩ დაინტერესდებოდა, რას და როგორ ამზადებენ იქ?

თუ კარგად შეიხედავდა და თვალს არ დაუჭავდა, მაშინ სახელმწიფო და ტექნოლოგიური დისციპლინის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების უხეში დარღვევის უამრავ ფაქტს დაინახავდა, თანაც ისეთს, ადამიანების მოწამვლაც კი რომ შეიძლება გამოიწვიოს. ლიმონათი სათანადო ტექნოლოგიური წესის დაუცველად დაამზადეს. სწორედ ასე ჩამოსახეს გასაყიდად 1200 ბოთლი სასმელი „ციტრუსისა“. მას სტანდარტულთან შედარებით სანახევროდ გაზიც აკლდა და შაქარიც. ახლა აღარ იკითხავთ, ბოთლებს როგორია რეცხავენ? ეტყობა, კაუსტიკური სოდაც კი აღარ გაიმეტეს და ორ-პროცენტიანის ნაცვლად 1,2-პროცენტიანი ხსნარი დაამზადეს, მას კი, რასაკვირველია, ისეთი ძალა აღარ ჰქონდა, რომ ჭუჭელი გაეკრიალებინა, ამიტომაც ჩამოსასხმელი დანადგარისაკენ ჭუჭყიანი ბოთლებს აგზავნდნენ.

დირექტორო იქნებ იმით მაინც დაინტერესებულიყო, შარშან და წლევანდელ 5 თვეში 96,4 ათასი ბოთლი სასმელები „ციტრუსისა“ და „ტარხუნა“ როგორ ჩამოასხეს, როცა (მათსავე საბუღალტრო საბუთებს თუ დავუჯერებთ) არ ჰქონდათ აუცილებელი ნედლეული და დამხმარე მასალები — ლიმონისა და ფორთოხლის ნაყენები, საღებავები, ეთილის სპირტი და სხვა მისთანები.

ალბათ იმის იმედი ჰქონდათ, რომ ამ საწარმოს გამგე პ. კირკიტაძე და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ბ. ჭანკვეტაძე საბუღალტრო დოკუმენტების გარეშეც გაარჩენდნენ ყველაფერს. აკი შემოწმებამაც დაადასტურა, რომ დოკუმენტები და ფაქტობრივი მდგომარეობა სულ სხვადასხვა რამეზე მეტყველებს. მართალია, ბ. ჭანკვეტაძეს რაღაც 400 კილოგრამი შაქრის ფხვნილი დააკლდა, მაგრამ სამაგიეროდ ხომ უხვად დარჩა მანდარინის ნაყენი და ლიმონის მჟავა, და განა მარტო ეს? ოფიციალურ ქაღალდებში არ ჩანდა, თორემ სხვადასხვა სალებავი საკმაოდ ჰქონიათ — „ინდიგო-კარმინი“, „ტატრაზინ-ფ“. თუმცა ესენი რა სასსენებელია, როცა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთ საზღვარგარეთული „ამარანტიც“ აღმოაჩნდათ და მისი ნაყენიც. რას ერჩით, თადარიგიანი კაცი ყოფილა? თადარიგი თადარიგად იყოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კვების პროდუქტების დამზადებისას ამ იმპორტული შემალამაზებელის გამოყენება ჯერ კიდევ 1971 წელს აკრძალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობისათვის მავნებელი(?!)

მოდი ახლა და სვი ტყიბულური ლიმონათი!

არც რაიკოოპერატივის თავმჯდომარის მოადგილეს თ. პატარიძეს აწყენდა, რომ ხანდახან სასურსათო მაღაზიაშიც შეევლო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებშიც ენახა, რას ეაჭრობენ, ან რას აშმეევნ ხალხს. ეს ხომ მისი უშუალო მოვალეობაა.

განა იგი ერთხელ მაინც დაინტერესებულა, რატომ ვაჭრობს სოფელ კურსების სასურსათო მაღაზია ძველი საკონდიტრო ნაწარმით, ან ეზოში, ღია ცის ქვეშ რატომ დაუყრიათ და აფუჭებენ 1800 ბოთლ „საირმეს“ და 320 კილოგრამ მზესუმზირის ზეთს? რომ დაინტერესებულიყო, ალბათ იმასაც შეიტყობდა, ახალსოფლის მაღაზაში როგორ გააფუჭეს 120 კილოგრამი ჰალვა, ანდა ხრესილის მაღაზიაში დახლებზე რატომ იყო გამოფენილი დაჟანგულ სახუროვიანი კონსერვის ქილები. დიახ, თავისი კაბინეტიდან გამოსული თ. პატარიძე იმასაც ნახავდა, ციხიბობოთისა და გურნის ფურნეებში როგორ აცხობდნენ დაჟანგულ გობებში მოზელილ გაუცრელ ფქვილს. ალბათ ნამდვილად შეამჩნევდა, ორპირის მუშათა სასადილოში ისედაც წონადაკლებულ კატლეტს რამდენი პური ჭამდა გარეული, ან როგორი დაბალკალორიულია აქ დამზადებული „სელიანკა“.

განა პურკომბინატის დირექტორი ა. მერკვილაძეც არ უნდა შეწუხებულიყო და ენახა, რა მდგომარეობაა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში? ახლა იმაზე აღარ შეეედავებით (თუმცა შესაძავებელ უფრო მეტია), ქალაქის მაღაზიებში გამოტანილი პურის ნაწილს რატომ აკლდა წონაში, მაგრამ იმის უთქმელობა როგორ შეიძლება, რომ არის დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დარღვევის, სამუშაოზე სამედიცინო-პროფილაქტიკურად შეუმოწმებელ პირთა დაშვების შემთხვევები.

ანტისანიტარია და უწესრიგობა სუფევდა მე-4 ფურნეში. ძველისძველ შენობას ეკდლები და სახურავი დაზიანებია, არ არის არავითარი სასაწყობო სათავსოები ნედლეულისა და მზა პროდუქციის შესანახად, აქ მომუშავეებისათვის არც გარდერობია და არც პირადი ჰიგიენის სხვა პირობები. ჯერ ერთი, აქ პურს გაუცრელი ფქვილით აცხობენ, და მეორეც, როგორც სურთ ისე ყოდიან.

ანალოგიური მდგომარეობაა მე-2 ფურნეში. თანაც ისიც უნდა ითქვას, რომ აქ არად დაჯიდევენ სავალდებულო პროფილაქტიკურ-სამედიცინო შემოწმებას. სწორედ ამიტომაც ოსტატ-ხაბაზს გ. ქათამაძეს შემოწმება 1984 წლის ივნისიდან არ გაუვლია, ხოლო მეორე ხაბაზი ა. ქათამაძე სამედიცინო დაწესებულებას საერთოდ არ გაკარებია.

მსგავსი ფაქტებისაგან არც „სა.ქქვანახშირის“ მუშათა მომარაგების განყოფილების, ფრინველმრეწვის, ხორცისა და რძის კომბინატის ობიექტებია დაზღვეული.

მკაცრი სანიტარიულ-სამედიცინო და ეპიდემიოლოგიური კონტროლი არც ტყიბულის სანეიდსადგურს აქვს დამყარებული.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა ტყიბულის ზონის სურსათ-სანოვაგის წარმოებისა და რეალიზაციის ობიექტებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა: სასტიკი საყვედურო გამოუცხადა ტყიბულის საქალაქო სამრეწველო კომბინატის დირექტორს გ. ბოჭორიშვილს და რაიკოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს თ. პატარიძეს. ხილის წყლების სწარმოს გამგე პ. კირკიტაძე კი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

შემოწმების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტს.

როგორც ამბობენ ხოლმე, მადლობა ღმერთს, საზოგადოებრივი კვების აქაური მესვეურების გულგრილობასა და უპასუხისმგებლობას რაიმე მძიმე შედეგი რომ არ მოჰყოლია. ზაფხული ძალაშია შესული, იქნებ, ვისაც ეს სქმე ეხება, ახლა მაინც იფიქროს სათანადო წესრიგის დამყარებაზე, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი!

ს. გამყრელიძე,
მ. ოგოლაძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორები.

ხარისხს შემოსწყრნენ

ალბათ ერთი კარგად მოზრდილი დასახლებული პუნქტის მამაკაცთა მთელი შემადგენლობის მოთხოვნილებას დაკმაყოფილება შარვლების ის რაოდენობა, წლეულს, პირველ კვარტალში წუნის გამო უკან რომ დაუბრუნდა ჭიათურის სამკერვალო ფაბრიკას. აბა, თავად განსაზღვრეთ, განა ჩვენი რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და მით უმეტეს სოფელში ცხოვრობს 5480 მამაკაცი?! დიახ, სწორედ 75,8 ათასი მანეთის ღირებულების შარვალი დაუბრუნდა უკან ფაბრიკას. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ წლეულს ამ საწარმომ პირველ კვარტალში 9 რეკლამაცია მიიღო, თანაც 8200 მანეთი ჯარიმა გადაიხადა, და ყოველივე ამას შარშანდელ შედეგებს თუ შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, რომ საშკერვალო ფაბრიკაში ჯერჯერობით სასიკეთო ძვრები არ მომხდარა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების თაობაზე პარტიისა და მთავრობის მითითებათა სარეალიზაციოდ, და ისევ ძველებურად მუშაობას განაგრძობენ.

შარშან მთელი წლის განმავლობაში მომხმარებლებისაგან 31 რეკლამაცია მიიღეს და ჯარიმად თითქმის 54 ათასი მანეთი გადაიხადეს. არასახარბიელოდ დაიწყეს მიმდინარე წელიც. პირველ ოთხ თვეში აქ ვერ შეძლეს 4 სახეობის ასორტიმენტის გეგმების შესრულება, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გეგმა მხოლოდ ისეთი ძვირად ღირებული ნაწარმის გამოშვებით შეასრულეს, როგორიც არის მამაკაცის ჯინსისა და შალის ქსოვილების შარვლები.

მაინც რას უწუნებენ აქაურ პროდუქციას? თავად განსაჯეთ, განა მყიდველი ადვილად გამოუჩნდება ისეთ შარვალს, რომელსაც ასეთი დეფექტები აქვს: ბოლოები გამრუდებულია, საქმრეები არასიმეტრიულად არის განლაგებული, შიგა და გარე გვერისტები გათხელებულია, საღილეებზე ღილების რაოდენობა შემცირებულია, ნაწარმი დასვრილია საწარმოო ნარჩენებით, ტრანსპორტირების დროს ლაქები ეჩნდება და სხვ. და თუმცა მთ რატომღაც „ვერ ამჩნევენ“ ტექნიკური კონტროლის სამსახურის მუშაკები, მაგრამ სამაგიეროდ მყიდველი ამას ადვილად ამჩნევს და ყიდვაზეც თავს იკავებს.

პროდუქციის ხარისხზე არსებითად მოქმედებს სასაწყობო მეურნეობის მოუწესრიგებლობა. სათანადო თაროების უქონლობის გამო მზა ნაწარმი პირდაპირ ბეტონის იატაკზე აწყვია და ხარისხიც ცხადია, უარესდება.

თავდათავი კი ის არის, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელობა, (დირექტორი ს. ბურჯანაძე, მთავარი ინჟინერი — ე. ხვედელიძე) სათანადო ყურადღებას არ უთმობს კადრების პროფესიულ დოსტატებას, მის შევსებას კვალიფიციური მუშახელით, დიდია მუშათა დენადობა; ამას ისიც უნდა დავმატოს, რომ აქ სათანადოდ არ იბრძვიან საგებგმო დავალებათა შესასრულებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, პრინციპულად არ სთხოვენ პასუხს საამქროთა უფროსებსა და ტექნიკური კონტროლის მუშაკებს მოვალეობის დაუღვევრად შესრულების გამო, შესაბამის ღონისძიებებს არც წონის მკეთებელთა წინაალღეგ ახორციელებენ.

ყოველივე ამას კი შექმნილ მდგომარეობამდე მივყავართ.

უნდა ითქვას, რომ პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის არც სახალხო კონტროლის ჯგუფი (თავმჯდომარე — თ. ციცვიძე) იწუხებს თავს.

ჭიათურის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა არსებული დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის საყვედური გამოუცხადა ფაბრიკის მთავარ ინჟინერს ელზა ხვედელიძეს, საწარმოს დირექტორს სულიკო ბურჯანაძეს კი შენიშვნა მისცა. ორივეს ფაბრიკისათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დაეკისრათ ფიზიკური დარიცხვა. ცნობად იქნა მიღებული, რომ ფაბრიკის ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი დ. ხვედელიძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ყველგან და ყველაფერში ხარისხისათვის ბრძოლა საერთო საზრუნავია და ჭიათურელი მკერავები ალბათ ახლა მაინც მთელი გულისყურით მიუდგებიან მას.

ი. გოგბატიშვილი,
ჭიათურის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი.

ჟურნალისტთა საყურადღებოდ

ჰერიოდის მუშაობას

— შეიძლება კი ჩვენი მუშაობა [illegible] ობის დამაკმაყოფილებლად შეფასება? — შემთხვევით როდი [illegible] სვა ეს კითხვა, როცა ჯერ საანგარიშო პერიოდში საწარმოო გაერთიანება „ეაკრობტრანსსა“ სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის მუშაობის შეფასებაზე მიდგა.

ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგში იყო — სატრანსპორტო გაერთიანებას ხშირად ეძლეოდა გარდამავალი წითელი დროშები, პრემიები, სიგელები. მაგრამ წარმატებათა უკან გადაცდომ-დანაშაულებანი იმალებოდა.

ჯერ იყო და მძღოლმა-ექსპედიტორმა ი. კარიბოვმა მე-4 მაცივრიდან გამოიტანა და „მარცხენა“ გზას გაუყვნა 2800 კილოგრამი კარაქი. შემდეგ? საკითხავია, სად მიჰქონდა მძღოლ-ექსპედიტორს ვ. კერდიკაშვილს რუსთავის ლუდის ქარხნიდან მრუდე გზით წამოღებული 19 კასრი ლუდი, ან კ. მისაშვილს მე-3 ქარხნიდან ხელს გამოყოლილი 4200 ბოთლი სხვადასხვა მარკის ღვინოები? ალბათ, მთელი ქალაქის სარეცხს ეყოფოდა გ. აივაზოვის მი-

შელახული სახელის აღსადგენად

ერ საპნის ქარხნიდან „ხელის დასაბანად“ წოდებული 2400 მანეთის საოჯახო საპონი.

კიდევ მრავალი ფაქტის დასახელება შეიძლება, როცა გაერთიანების მძღოლები მონაწილეობდნენ ბოროტმქმედებაში — მათი მომსახურების სფეროში არსებულ საწარმო-ორგანიზაციებში მიკალთებულ ხელმრუდთ ეხმარებოდნენ ეგრეთ წოდებული „მარცხენა“ საქონლის გაპარება-რეალიზაციაში. სამწუხაროდ, ეს ფაქტები გაერთიანების სახალხო კონტროლიორებმა კი არა, საგამოძიებო ორგანოებმა გამოამეღავნეს და შესაბამისი ღონისძიებანიც განახორციელეს. „ფხიზელ თვალს“ რომ მართლა ეფხიზლა, განა არ შეიძლებოდა დანაშაულობათა თავიდან აცილება?

გამოძალვასა და ქრთამის აღებაში ამხილეს და დაუპატიმრეს გაერთიანების გენერალური დირექტორი ი. ბაკაშვილი და მე-8 ავტოკოლონის უფროსი ნ. ჭავჭავაძე, აგრეთვე მათთან დაკავშირებული ბევრი სხვა თანამშრომელი. რასაკვირველია, მართლმსაჯულებამ მათ საკადრისად მიუზღო, მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ იმ მუშაკებსაც, რომელთა წყარუებითაც შესაძლებელი გახდა ასეთი ბოროტება. მათ შორის არის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე ი. გელოვანიც (ამიტომაც არავის გაკვირვება, როცა უკვე კონფერენციის შემდეგ იგი სახალხო კონტროლიორთა წინამძღოლად აღარ აირჩიეს).

დიახ, ბევრი ასეთი რამ ხდებოდა გაერთიანებაში და ამ დროს სახალხო კონტროლიორები მათი აღკვეთა-პროფილაქტიკისათვის აქტიურ მებრძოლებად როდი გამოდიოდნენ.

სავსებით სწორი იყო მძღოლი ვ. ჯავახიშვილი, როცა მოითხოვდა, თუ სახალხო კონტროლი ჰქვია, მართლაც სახალხო უნდა იყოსო, ნამდვილად კონტროლი უნდა იყოს და არა ფაქტების აღრიცხველიო, მისი ძალა ჩვენი დიდი გაერთიანების ყოველ უბანზე უნდა იგრძნობოდეს, ყოველ შემოწმებას, რეიდს დადებითი, სასარგებლო ამ შემოწმების მასალები და გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის პასუხი აგებინონ დამნაშავე პირებს.

ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა გაერთიანება „ეაკრობტრანსსა“ და იმ ორგანიზაციებში, რომელთაც იგი ემსახურებოდა, პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესაბამისად ავტოტრანსპორტის რაციონალურად გამოყენების მდგომარეობის შესახებ. როგორც მაშინ გამოირკვა, მათი შეუთანხმებელი მუშაობის შედეგად ძალზე ხშირი იყო მანქანების ხანგრძლივი მოცდენები, ფუჭი გარბენის, საწვავის უყაირათოდ ხარჯვის შემთხვევები. მაშინ კომიტეტმა სასტიკად დასაჯა როგორც გაერთიანების გენერალური დირექტორი, ისე „საქბაკალეიის“ თბილისის ბაზის, მე-4 სამაცივრო კომბინატის, დამზადების სამინისტროს თბილისის საერალიზაციო ბაზის ხელმძღვანელები. მდგომარეობა ერთხანად საგრძნობლად გამოსწორდა, მაგრამ, როგორც კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა მძღოლმა-ბრიგადირმა ვ. გაბიჩვაძემ, „კომკავშირული პროექტორის“ შტაბის თავმჯდომარემ დ. დათუნაშვილმა, მძღოლმა შ. ბაზტაძემ და სხვებმა ეანაცხადეს, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. „საქბაკალეიის“ ბაზაში დილით შესული მანქანებიდან 14 ორ საათზე მეტ, ხოლო 19 სამ საათზე მეტ ხანს ელოდებოდნენ დატვირთვას. ანალოგიური შემთხვევები იყო უალკოჰოლო სასმელების ქარხანაში, კულტინვენტარისა და სამეურნეო საქონლის ბაზებში და სხვ. არცთუ იშვიათად მაღაზია არ ღებულობს ბაზიდან გაგზავნილ საქონელს და მძღოლი დატვირთულ მანქანას წინ და უკან დაატარებს. ვერა და ვერ მოგვარდა ტვირთზიდვა მეთოდით „ქარხანა-მაღაზია“, მან აუცილებლად მესამე პუნქტი „ბაზა“ უნდა გაიაროს, დრო და საწვავი დაიხარჯოს. ყოველივე ამის შემდეგ გაერთიანების მიერ მიღებული საჯარიმო სანქციები ერთგვარად სიმბოლური ხასიათისაა და არსებითად ვერ მოქმედებს შექმნილ მდგომარეობაზე. ამ დროს კი მუშაობის სწორი ორგანიზაციით შესაძლებელია ორჯერ მეტი ტვირთის გადაზიდვა.

ამიტომაც ურიგო არ იქნებოდა, ტრანსპორტელებს თავიანთ თავურილობაზე დამქირავებელი საწარმო-ორგანიზაციების, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლები მოეწვიათ და მათთვისაც ეთქვათ თავიანთი გულის წუხილი.

მართალია, სახალხო კონტროლის როგორც მეთაური, ისე შემავალი ჯგუფები და საგუშაგოები გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია აღმოსაფხვრელი სასპიდომეტრო მეურნეობის, საწვავ-საპოზი მასალების აყირათიანად ხარჯვის, სატრანსპორტო საშუალებათა სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. უფრო ფართო, უკომპრომისო ბრძოლა უნდა გაიშალოს ბახუსის მოყვარულთა წინააღმდეგ, რათა მთლიანად და საბოლოოდ აღიკვეთოს ნასვამი მძღოლებისა და სხვა მუშაკების სამუშაოზე გამოცხადება.

განა სრულყოფილ, ყოვლისმომცველ კონტროლიორის შეიძლება ლაპარაკი, როცა ტერიტორიის უკმარისობის გამო გაერთიანების სამმაგ ზე მეტი მანქანა უშუალოდ ქუჩაში, მძღოლის სიცხოვრებელი სახლისა თუ დამქირავებელი ორგანიზაციის ეზოებში დგას, ამ დროს ხომ ყოველგვარი გადაცდომის ხელსაყრელი პირობები იქმნება.

გაერთიანების მთელი კოლექტივის, სახალხო კონტროლიორთა მუშაობის კიდევ ბევრ საჭიროებრივი საკითხზე იყო ლაპარაკი მერემონტე ვ. ჯუღელის, მე-7 ავტოკოლონის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის ა. ჯიყაშვილის, მე-8 კოლონის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გ. სრესელის, გაერთიანების პარტკომის მდივნის ნ. შურღაიას, გენერალური დირექტორის ვ. ლობჟანიძისა და სხვათა გამოსვლებში.

მართალია, კონფერენციამ საერთოდ კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ნაკლოვანებების დაუფარავი გამომზეურების ნიშნით ჩაიარა, მაგრამ მას ბოლომდე აღარ ეყო ობიექტურობა, პრინციპულობა, და სანგარიშო პერიოდში მეთაური ჯგუფის მუშაობა მაინც (თუმცა ხმების მცირე უპირატესობით) დადებითად შეფასა. ეს ალბათ ძველებურად მუშაობის ინერციის ერთგვარი გამოძახილი იყო.

ამიტომაც განაწესეთ გაისმა სახალხო კონტროლიორის, მძღოლის ვ. გაბიჩვაძის ნათქვამი: თითოეულს გული უნდა შეგვტკიოდეს საერთო საქმისათვის, რადგან ერთ დიდ ოჯახში ვმუშაობთ. დიახ, როგორც საკუთარ პატიოსნებას, ისე უნდა გაფრთხილება ჩვენი საწარმოს სახელსაც. სამარცხვინო ლაქა გვაქვს ჩამოსარეცხი, შელახული ავტორიტეტი აღსადგენი — ამას კი მხოლოდ საერთო გარჯით, ერთგული

ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲜᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ Ა. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲕᲐᲮᲢᲖᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინახება იმ ატომური წყალქვეშა ნავის სამახსოვრო ალამი, რომელმაც პირველი რანგის კაპიტნის, ა. დ. ჯავახიშვილის მეთაურობით მოახდინა ბევრი ლაშქრობა. მეზღვაური, რომელმაც მუზეუმს ეს ექსპონატი აჩუქა, ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულეა იმ მრავალთაგან, რომლებიც პირველი რანგის კაპიტნის წოდებით ღირსეულად განაგრძობენ დიდი სამამულო ომის გმირთა სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს.

ალექსანდრე ჯავახიშვილი აღიზარდა საქართველოს დედაქალაქის ერთ-ერთ უძველეს უბანში, ეზოში, სადაც ერთ ძმურ ოჯახად ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები. მან სწორედ აქ ისწავლა ძმობის კანონებით ცხოვრება, რაც შემდეგ ეხმარებოდა საზღვაო სამსახურის ყველა სიძნელის დაძლევაში. ალექსანდრემ დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სპორტული სკოლა, შევიდა კასპიის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ იგი საკუთარი თხოვნით გაგზავნეს ჩრდილოეთის ფლოტში.

სამხრეთელ ყმაწვილს უჭირდა მკაცრ ჩრდილოეთში, მაგრამ ზღვისადმი უდიდესი სიყვარული, მის ჩინებულ სპორტულ მონაცემებთან და უნართან შერწყმული, ეხმარებოდა სწრაფად აეთვისებინა ფლოტის უნივერსიტეტების რთული გაკვეთილები. არაორდინარულმა ზზრთვნებამ, შრომისმოყვარეობამ, რთული საკითხების ოპტიმალური გადაწყვეტის წარმატებითმა ძიებამ მალე ა. ჯავახიშვილი მოწინავე ოფიცერთა რიგებში ჩაჯყენა. 1963 წელს იგი სარაკეტო ატომური წყალქვეშა ნავის მეთაურის თანაშემწეა, ერთი წლის შემდეგ კი მს ანდეს დამოუკიდებლად ემართა ეს მრისნანე ხომალდი. დღითი დღე სულ უფრო მსატდებოდა, იგი მრავალჯერ წაახალისა სარდლობამ.

მძიმეა წყალქვეშელის ცხოვრება, წყალქვეშელად გახდომა ყველას როდი შეუძლია. მას უნდა ჰქონდეს ჩინებული ჯანმრთელობა, მაღალი კვალიფიკაცია, ხასიათის განსაკუთრებული თვისებები, მეთაურს კი ეს თვისებები თითქმის სამმაგად მოეთხოვება. ის ზომ ნიადაგ ხელქვეითების წინაშეა, მისგან იღებენ მაგალითს. იგი მოვალეა ექსტრემალურ პირობებში სწრაფად მიიღოს ზუსტი გადაწყვეტილებანი.

ა. ჯავახიშვილი მონაწილეობდა ბევრ პასუხსაგებ ლაშქრობაში. თავისი ცხოვრების მესამედზე მეტი სამეთაურო ბიგიურაზე გაატარა, ოცდაათი წელი შესწირა სამხედრო-საზღვაო ფლოტს. 1974 წელს იგი ერთ-ერთი პირველი დაჯილდოვდა მესამე ხარისხის ორდენით „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“. მან განახორციელა ბევრი მორეული ლაშქრობა, მიღებული აქვს საავტორო უფლება და მოწმობა რაციონალიზატორული წინადადებისათვის. ახლა იგი ამზადებს და ზრდის მეთაურთა კადრებს, რომლებიც წარმატებით მსახურობენ სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

თანამოსაქმეთა დახასიათებით, საზღვაო სტიქიის რაინდი ა. ჯავახიშვილი გამორჩეული გულითადობით, მტკიცე ხასიათით, ფართო ერუდიციით. და კიდევ — მას ძალზე უყვარს თავისი შობლიური ქალაქი. იგი თბილისში ატარებს თავის ყოველ შვებულებას იმ ადამიანებთან, რომელთა დახმარებითაც ჩამოყალიბდა მისი ხასიათი და რომლის მეოხებითაც იგი ღირსეულად წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკას სსრ კავშირის სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲣᲠᲣ�გᲕᲐᲘᲡ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ენრიკე იგლესიასი და ესაუბრა მას.

საუბარმა გულთბილ, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა.

საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ნ. პონომარევი.

(ᲢᲐᲡᲙᲡᲘᲜ).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲐᲓ, ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲡᲣᲠᲜᲐᲛᲝᲑᲘᲗ

25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. ა. შევარდნაძისა და ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ე. იგლესიასის მოლაპარაკება, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

მოლაპარაკების დასაწყისში ურუგვაის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძეს გადასცა ურუგვაის პრეზიდენტის ხ. მ. სანგინეტის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისადმი.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც კონსტრუქციულ და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროში ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ფართო წრის საკითხები. აღნიშნეს რა მთელ რიგ ძირითად საერთაშორისო პრობლემებზე შეხედულებათა სიახლოვე, მინისტრებმა საჭიროდ მიიჩნიეს, რომ სსრ კავშირმა და ურუგვაიმ ერთად იმოქმედონ მსოფლიოში ვითარების გაჯანსაღების, ომის საფრთხის თავიდან აცილების, გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტისა და რეალური განიარაღების მიღწევის მიზნით.

საბჭოთა კავშირ-ურუგვაის ურთიერთობის საკითხებისა და მისი განვითარების პერსპექტივების განხილვისას აღინიშნა ამ ურთიერთობის მეგობრული ხასიათი და პოზიტიური შეფასება მიეცა სსრ კავშირისა და ურუგვაის მრავალმხრივი კავშირურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის გამიზნულ ორმხრივ ძალისხმევას. დადასტურდა ორივე მხარის დაინტერესება იმით, რომ შეუნელებლად განვითარონ ორმხრივი ურთიერთობა პოლიტიკურ, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში თანასწორობის, პატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ე. ა. შევარდნაძემ და ე. იგლესიასმა ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ურუგვაის ოქმს კონსულტაციების შესახებ, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შეთანხმებასა და ოქმს სსრ კავშირისა და ურუგვაის ურთიერთობის თაობაზე დოკუმენტების ერთობლივი კრებულის გამოცემის შესახებ.

ე. ა. შევარდნაძემ საუზმე გაუმართა ე. იგლესიასს, რომლის დროსაც მათ სიტყვები წარმოთქვეს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲓᲦᲔᲐ



ᲛᲔᲝᲩᲔᲓᲔ აღნიშნავს ქვეყანა ვაჭრობის მშრომელთა პროფესიულ დღესასწაულს. წლევანდელი ზეიმი აღინიშნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პერიოდში, დაჩქარებისა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით არის დასახული.

დიდი ძვრები მოხდა ბოლო დროს ვაჭრობის სფეროში, მეტადრე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ, რომელმაც სათავე დაუდო დიდ მუშაობას ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. მაგალითად, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში საცალო საქონელბრუნვის ზრდამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 11 პროცენტით გადააჭარბა შარშანდელ შესაბამის მაჩვენებელს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: № 41 მალაზია (რუსთაველის პროსპექტი). Ჯ. ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲜᲘᲩᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ა. ნ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ დანიშნა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილედ.

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲝ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲡ

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. გამალებული შეიარაღების ათასობით მოწინააღმდეგე აქტიურად უჭერს მხარს მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირებას. პროფკავშირული აქტივისტები, მეცნიერები, ექიმები, რელიგიური მოღვაწეები და სპორტსმენები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მშვიდობის წლის ფარგლებში მხარს უჭერენ მოთხოვნას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ბირთვული გამოცდები, წერს კომენტარში „ნოიეს დოიჩლანდი“.

ამ მოთხოვნის მომხრეთა პოლიტიკური მოსაზრებები და ეროვნული საწყისი პოზიციები სხვადასხვაა. მათ აერთიანებს მისწრაფება იღვაწონ მეტი უშიშროებისათვის შეიარაღების ნაკლები რაოდენობით, მიაღწიონ ბირთვული არსენალების შემცირებას. გამამხნევებელ ზემოქმედებას ახდენს მათზე საბჭოთა კავშირის მიერ შემოღებული ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმი, სსრ კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა მონაწილე სახელმწიფოთა სამშვიდობო ინიციატივები, წერს გაზეთი.

ᲒᲝᲜᲘ. საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი წესით შემოღებული და არიერთგზის ვადაგაგრძელებული ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმი კონკრეტულად მოწმობს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარეობას, მის მისწრაფებას შეწყვიტოს ყველასათვის დამღუპველი გამალებული შეიარაღება და გააჯანსაღოს საერთაშორისო ვითარება. ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ელენ ვებერმა. „ჩვენ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად, დარწმუნებული ვართ, რომ ბირთვული იარაღის გამოცდის შეწყვეტა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება თერმობირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გზაზე. აღშფოთებული ვართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც უგულებელყოფენ საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოთხოვნებს, ჯიუტად ამბობენ უარს შეუერთდნენ საბჭოთა მორატორიუმს და ამის ნაცვლად განაგრძობენ ბირთვულ აფეთქებებს. ეს უპასუხისმგებლო მიდგომაა. ეს მთელი მსოფლიო გაერთიანების აბუჩად აგდებაა“, — თქვა ე. ვებერმა.

ᲠᲝᲛᲘ. იტალიის ქალაქ ჩივიტაკასტელანის — ლაციოს ოლქის უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიული ცენტრის მერმა კარლო ჩიმარამ დიდად შეაფასა საბჭოთა კავშირის ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი, სსრ კავშირის სხვა სამშვიდობო ინიციატივები, რომელთა მიზანია ბირთვული კატასტროფის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნა.

ამას წინათ იგი ეწვია საბჭოთა კავშირს, სადაც თვალნათლივ დარწმუნდა, რომ აღმშენებლობითს შრომაში ჩაბმულ საბჭოთა ხალხს ამორავებს სამშვიდობო მისწრაფებანი. მოსკოვსა და მინსკში მოგზაურობის დროს, გაეცნაცადა მან საკდესის კორესპონდენტს, ჩვენი დელეგაცია შეხვდა როგორც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელს, ისე უბრალო მოქალაქეებს. მე გამოვიტანე დასკვნა, რომ საბჭოთა ადამიანებს მშვიდობიანი ცხოვრება სურთ. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც სამამულო ომში 20 მილიონი კაცი დაკარგა, სხვაზე უკეთ იცის მშვიდობის ფასი და დაუცხრომლად იბრძვის მისთვის. ბოლო დროს მან წამოაყენა მრავალი კონკრეტული და ეფექტიანი წინადადება, რომლებიც ხელს უწყობს დაძაბულობის შენელებას. უაღრესად მნიშვნელოვანი ინიციატივაა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმის დაწესება, შემდეგ კი მისთვის ვადის გაგრძელება.

შეერთებულმა შტატებმა ყურად უნდა იღოს გონიერების ხმა და შეუერთდეს საბჭოთა მორატორიუმს. ეს ახალ იმპულსს მისცემს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიალოგს, თქვა დასასრულ კ. ჩიმარამ.

● ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲠᲝᲛᲘ. იტალიის სოციალისტური პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა ბენიტო კრაქსიმ დაამთავრა კონსულტაციები სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებთან მთავრობის მწყავე კრიზისის დაძლევის მიზნით.

ჟურნალისტებთან საუბარში კრაქსიმ კმაყოფილება გამოთქვა მათი შედეგების გამო, რომლებსაც რესპუბლიკის პრეზიდენტს ფრანჩესკო კოსიგას მოახსენებს. „მე გამომიტაცია აზრი, თქვა მან, რომ კრიზისი უმოკლეს ვადაში მოწესრიგდება“. პრესის ცნობით, სოციალისტთა ლიდერმა ენერგიული ღონისძიებანი განახორციელა, რათა აღადგინოს დაშლილი ხუთპარტიული კოალიცია და თვითონ შეინარჩუნოს, თუნდაც დროებით, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ მემარცხენე ოპოზიციური ძალები, უპირველესად, იტალიის კომპარტია.

● ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲘ

ᲜᲐᲯᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ახლა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის მთავარი ამოცანაა, განაცხადა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნაჯიბმა ბერათის პროვინციის მცხოვრებლებთან შეხვედრაზე.

დაახასიათა რა ავღანეთ-ირანის ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობა, ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის ხალხები მონათესავე ხალხები არიან და ყოველთვის ჰქონდათ და აქვთ მეგობრული ურთიერთობა. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არის და ისწრაფვის ირანთან დაამყაროს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე დაფუძნებული კეთილმეზობლური ურთიერთობა, განაცხადა მან. ახლანდელი გამოუცხადებელი ომის ვითარება კი ხელს აძლევს მხოლოდ საერთაშორისო იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალებს, და არა ჩვენი ქვეყნების ხალხებს, ხაზგასმით აღნიშნა ნაჯიბმა.

ჰერათში მოგზაურობის დროს ნაჯიბი შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის საპროვინციო კომიტეტების წევრებს, საფეიქრო ფაბრიკის მუშებს, შეიარაღებული ძალების მეომრებს.

ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲕ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲡ!

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲘᲚᲐᲨᲭᲠᲔᲑᲡ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. შეერთებული შტატები განაგრძობს ბირთვული იარაღის გამოცდებს, რაც ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის დიდ შეშფოთებასა და წუხილს იწვევს. მაღალ შეფასებას აძლევენ რა ამ დარგში საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ღონისძიებებს, ისინი ადმინისტრაციისაგან მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეუერთდეს ყველა ბირთვული აფეთქების მორატორიუმს.

„ბირთვული აფეთქებების მორატორიუმი ის ნაბიჯია, ხანგრძლივ დისკუსიას რომ არ მოითხოვს. უბრალოდ უნდა შეეწყვიტოთ გამოცდები, როგორც ეს საბჭოთა კავშირმა ქნა“, — ნთქვამია ფურიელში, რომელიც გაავრცელა მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა მასობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

ორგანიზაციამ ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქეს მოუწოდა ჩაებან ბრძოლაში ომის თავიდან აცილებისა და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. პენტაგონი მკაცრად საიდუმლოდ ინახავდა ახალი ბირთვული აფეთქების მოწყობის ნევადაში, რათა ამერიკის მშვიდობის მომხრეებისათვის შეეშალა ხელი კვლავ გამოეხატათ პროტესტი დანაშაულებრივი აქციის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ვერ შეაღელებს ჩვენს გადაწყვეტილებას განვაგრძოთ ბრძოლა გამოცდების სრული აკრძალვისათვის, განაცხადა „ამერიკან პის ტესტის“ ეროვნულმა კოორდინატორმა ჯესი კოქსმა, როშლის შტატ-ბინა ლასვეგასში შდებარეობს. საკდესის კორესპონდენტთან ტელეფონით საუბრისას მან თქვა, რომ ამერიკელი მშვიდობის მომზრენი ემზადებიან მოაწყონ ახალი მასობრივი საპროტესტო აქციები პენსილვანიაში, ოჰაიოში, კალიფორნიაში, ორეგონში, მიჩიგანსა და სხვა შტატებში. მათში მონაწილეობას მიიღებენ ათობით ომის საწინააღმდეგო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ბირთვული იარაღის გამოცდების სრული და საყოველთაო აკრძალვის მხარდასაჭერად მასობრივი მატინგი გაიმართა ამერიკის ქალაქ ჰარტფორდში (კონექტიკუტის შტატი). მიტინგის ასობით მონაწილე მიესალმა საბჭოთა კავშირის მიერ შემოღებულ ყოველგვარი ბირთვული აფეთქების ცალმხრივ მორატორიუმს და მოსთხოვა ოფიციალურ ვაშინგტონს მიჰბაძოს საბჭოთა კავშირის ძაგლესთს.

ᲢᲝᲙᲘᲝ. ჰიროსიმისა და ნაგასაკის ხელისუფლებმა მტკიცე პროტესტი განაცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილი მორიგი ბირთვული გამოცდის წინააღმდეგ. მათ იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც გამოხატავენ აღშფოთებას ამ აქციის გამო, რომელიც მოეწყო ამერიკის მიერ იაპონის ატომური დაბომბვის 41 წლისთავის წინ, და რომელიც შეიცავს მოთხოვნას დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ბირთვული აფეთქებანი.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

● ᲐᲨᲨ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ავიასაშენებელი კონცერნი „ლოკჰიდი“ შეუდგა „ატფ“ ახალი გამანადგურებლის შექმნას (გამანადგურებელი სრულყოფილი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით). ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს ცნობით, რომელმაც ეს სურათი გავრცელა, ახალ გამანადგურებელს წინამორბედებთან შედარებით მეტი სიჩქარე, მანევრირება ექნება და „შეეძლება მოწინააღმდეგის გამანადგურებლების მოსპობა მათსავე ტერიტორიის თავზე“. გარდა ამისა, იგი „საბრძოლო მოქმედებას მოახდენს ზებგერითს სიჩქარეზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე“.

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲖᲔ: ასე წარმოუდგენიათ ინჟინერ-კონსტრუქტორებს „ატფ“ გამანადგურებელი.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ. აქ დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტის პრობლემაზე. ამ მოლაპარაკებამ უნდა მოიცვას საკითხთა მთელი წრე: ბირთვული გამოცდების კონტროლისა და მათი სრული შეწყვეტის გზების დასახვის საკითხები.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. პეტროსიანცი. ამერიკისას — შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საგენტმოს დირექტორის თანაშემწე რობერტ ბარკერი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲯᲔᲠ ხუთწლედის დავალებების შესრულებაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდნენ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ᲩᲐᲜᲗᲐᲫᲔ რევაზ ნიკოლოზის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ასოთამწყობი.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ᲚᲐᲒᲐᲠᲘᲫᲔᲡᲐᲠᲘ იური თომას ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორის მოადგილე.

„ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ᲙᲐᲠᲐᲘᲝᲜᲘ ნიკოლოზ სოლომონის ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის გამგე.

III ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘᲗᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ᲡᲣᲚᲔᲛᲐᲜᲝᲕᲘ არიფ ორუჯ-ოღლი — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მბეჭდავი.

ᲛᲔᲓᲚᲘᲗ

„ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲥᲐᲮᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ჯემალ კონსტანტინეს ძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ასოთამწყობი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

Თ. ᲛᲔᲜᲗᲔᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ. 1986 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲣᲨᲤᲚᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ

„ᲛᲣᲜᲓᲘᲠᲘᲡ ᲚᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. უსაზღვროა ზაგი ქალის რონი გროუსის მწუხარება: დაღუპა მამა, 81 წლის დენის გროუსი. პოლიციელმა კლოდ რამსეიმ დღისით-მზისით გულგრილად ესროლა და მოკლა მოხუცი, თითქმის უმწეო ადამიანი. რატომ? პოლიციის ფორმიანი რასისტი ცინიკურად ამტკიცებს, რომ ზუთხმოც წელს გადაცილებული დენისი თითქოს ოდესღაც რევოლვერით დაჰმუქრებია თავის ქალიშვილს.

დაღუპულის განრისხებულმა ნათესავებმა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორს მოსთხოვეს სპეციალური პროკურორი დანიშნოს ბოროტმოქმედების გარეშემოებების გამოსაძიებლად. მაგრამ გუ-

32 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲙᲘ ᲙᲐᲕᲐᲙᲐᲛᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ. რამდენიმე დღის განმავლობაში არც ერთ შეზობელს არ შეუმჩნევია, რომ ამ ხნის მანძილზე არ უნახავთ ახალგაზრდა მარტოხელა ქალი — 32 წლის მასაკო კავაკამი. მისი ბედის გამო „შეწუხდა“ მხოლოდ სახლის მმართველი, რომელსაც კავაკამიმ არ გადაუხადა ბოლო ორი თვის ბინის ქირა.

მან შეტეხა ოთახის კარი, და იქ მხოლოდ ერთი ცოცხალი არსება აღმოაჩინა — ჩიტი გალიაში. დიასახლისი საწოლში უმოძრაოდ იწვა. შემთხვევის ადგილზე მოსულმა ექიმმა დაადასტურა შიმშილით გამოწვეული სიკვდილი, კავაკამი სულ ცოტა ოთხი დღის წინათ უნდა გარდაცვლილიყო. უბედურმა ქალმა დატოვა წერილი, საიდანაც ცხადი გახდა, რომ მას დიდი ხანია სამუშაოს შოვნის იმედი გადაეწურა და მთელი წლის განმავლობაში რაღაც საცოდავი დანაზოგით გაჰქონდა თავი, სანამ ისიც არ გამოელია.

● ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარემ ფელიპე გონსალესმა გამოაცხადა ახალი კაბინეტის შემადგენლობა. მინისტრთა ძირითადი პოსტები შეინარჩუნეს სოციალისტთა წინა მთავრობის წევრებმა. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე კვლავ არის ალფონსო გერა, საგარეო საქმეთა მინისტრი — ფრანსისკო ფერნანდეს ორდონიესი, თავდაცვის მინისტრი — ნარსის სერა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲥᲚᲔᲠᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲚᲔᲠᲔᲑᲘ...

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ მესამედ სტუმრობს საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „რუსთავი“, რომლის მხატვრული ხელმძღვანელია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანზორ ერქომაიშვილი. შარშან ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ რომის ტელევიზიის გადაც

ᲜᲘᲜᲝᲠᲐ ᲧᲐᲜᲚᲐᲠᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲥᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲛᲘᲠ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲝ ᲩᲘᲫᲕᲜᲐᲘᲐᲡ.

ᲛᲔᲪᲘᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲙᲝᲠᲒᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲗ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲜᲘᲗ ᲙᲐᲚᲗᲘᲗ. ᲜᲘᲠᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲘᲓᲐᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲐᲠᲣᲡᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲘᲗᲘᲡ — ᲓᲐ ᲛᲘᲠᲪᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲘᲗ.

ᲩᲘᲜᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ...

ᲩᲘᲜᲑᲠᲝᲠᲣᲚᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲛᲔᲡᲮᲔᲑᲡ

ᲠᲐ ᲛᲨᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲛᲬᲧᲘᲚᲘ,
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘᲡ ᲛᲘᲝᲠᲩᲜᲘᲡ.
ᲫᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲝᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲘ,
ᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲮᲘᲡ ᲝᲠᲘᲡ ᲢᲝᲩᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲨᲕᲔᲜᲘ, ᲩᲔᲛᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲮᲚᲘ, ᲐᲮᲚᲘ.
ᲫᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲡᲚᲘᲡ, ᲫᲐᲠᲘᲡ ᲯᲘᲜᲘ,
ᲫᲐᲠᲘᲡ ᲪᲐ ᲓᲐ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘ.

ᲠᲐᲓ ᲛᲘᲥᲕᲘᲡ ᲝᲠᲒᲘᲚᲘ ᲓᲐ
ᲐᲠ ᲮᲘᲡᲮᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲐᲜᲓᲘ,
ᲘᲡ, ᲒᲠᲔᲩᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲒᲐᲬᲘᲚᲓᲐ,
ᲨᲝᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲒᲐᲬᲘᲚᲓᲐ.

ᲠᲐᲓ ᲛᲘᲥᲕᲘᲡ ᲛᲝᲐᲜᲣᲨᲕᲘᲡ,
ᲜᲐᲮᲔᲚᲘᲡ, ᲧᲣᲠᲘᲡ-ᲬᲧᲣᲠᲘᲡ,
ᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ,
ᲨᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲫᲐᲠᲘ.

ᲠᲝᲓᲘᲡ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲧᲣᲠᲜᲐ ᲯᲘᲠᲘᲡ,
ᲛᲔᲪᲘᲠᲘ ᲬᲐᲒᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡ.
ᲝᲰ, ᲒᲠᲔᲩᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲒᲐᲬᲘᲚᲓᲐ,
ᲝᲰᲯᲔ ᲜᲐᲬᲘᲚ-ᲜᲐᲬᲘᲚ ᲒᲐᲬᲘᲚᲓᲐ.

ᲠᲐ ᲛᲔᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲘ, ᲠᲘᲥᲘ ᲛᲔᲛᲬᲘᲚᲘ,
ᲩᲔᲜᲘ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲧᲐᲠᲘᲡ ᲫᲐᲠᲘᲡ
ᲜᲐᲯᲣᲠᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲫᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲮᲘᲡ
ᲓᲐ ᲢᲝᲩᲘᲡᲐᲜ ᲫᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲮᲘᲡ.

ᲠᲐᲗᲘ ᲛᲘᲥᲕᲘᲡ ᲘᲛᲔᲠᲕᲘᲡᲐ,
ᲧᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲣᲮᲘᲡ ᲛᲔᲮᲘᲡᲐ.
ᲩᲔᲜᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲩᲔᲜᲘ ᲒᲣᲛᲔᲠᲘᲐ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲐᲠᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲫᲐᲠᲘᲡ.

ᲨᲔᲯᲐᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲯᲘᲗᲮᲐᲕᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲮᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲢᲘᲕᲔᲑᲘ.

Ლ. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲫᲘ

ᲠᲝᲛᲚᲐ

ᲜᲝᲕᲔᲚᲐ

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘᲡ ᲡᲔᲡᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲔᲡᲣᲚᲘ, ᲚᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲝ ᲓᲐᲯᲘᲠᲜᲬᲘᲜᲓᲔᲜᲘᲡ ᲨᲝᲛᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲧᲝᲗᲮᲐᲕᲐᲓ. ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲙᲐᲠ ᲒᲐᲐᲜᲓᲔᲡᲣᲚ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲘ. ᲘᲧᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲝᲡ ᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲛᲯᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲜᲔᲑᲘᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲩᲜᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲒᲠᲔᲛ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ — ᲦᲣᲛᲔᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲜᲗᲘᲐ, ᲙᲐᲠᲒᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲥᲜᲑ ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲝᲠ.

— ᲒᲘᲯᲣᲐᲠᲘ ᲮᲛᲘ, ᲑᲣᲮᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲪᲘᲪᲮᲝᲑᲡ ᲨᲔᲨᲐ?

— ᲓᲐᲕᲣᲯᲐᲮᲗ ᲑᲔᲑᲘᲐᲡ?

— ᲐᲠᲐ, ᲐᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲐᲚᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲔᲕᲘᲜᲝ...

ᲡᲝᲤᲘᲝᲛ ᲓᲐᲐᲮᲐᲚᲐ ᲚᲝᲒᲘᲜᲘ, ᲔᲠᲗᲮᲐᲚᲘ ᲔᲛᲘᲡᲐᲐᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ. ᲩᲐᲒᲚᲐᲯᲓᲐ ᲓᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲜᲗᲐ ᲠᲝᲛ ᲩᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ. ᲩᲐᲘᲪᲘᲗᲐᲗ ᲐᲮᲚᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲬᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲠᲔᲯᲐᲓ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ! — ᲡᲝᲤᲘᲝᲛ ᲐᲦᲠᲗᲮᲝᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲐᲛᲘ.

ᲚᲐᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲩᲘᲜᲓᲘᲜᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲝᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ, ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜ.

— ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲚᲝᲒᲘᲜᲘ, ᲔᲠᲗᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲙᲔᲜ. ᲛᲔ ᲙᲘ ᲐᲮᲚ ᲙᲐᲠᲘ ᲐᲠᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. ᲛᲘᲡᲛᲐᲠᲗᲐ ᲐᲮᲚᲐᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲩᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ. ᲩᲐᲘᲪᲘᲗᲐᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲠᲔᲯᲐᲓ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ! — ᲡᲝᲤᲘᲝᲛ ᲐᲦᲠᲗᲮᲝᲕᲐ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲐᲛᲘ.

— ᲓᲘᲚᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ! ᲒᲐᲡᲬᲘ, ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲘᲑᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲕᲘᲡᲐᲣᲖᲜᲝᲗ. ᲚᲐᲚᲐ ᲓᲐᲘᲮᲣᲠᲝᲡ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲒᲐᲖᲘ ᲓᲐᲛᲘᲯᲓᲐ.

— ᲰᲛ, ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲕᲘᲡᲐᲣᲖᲜᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐ ᲬᲕᲐᲚᲔᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ.

— ᲛᲘᲓᲘᲗᲐᲠᲗ ᲒᲐᲜᲐ? ᲐᲡᲔ ᲛᲐᲚᲔ?

— ᲒᲐᲝᲒᲜᲔᲓᲐ ᲡᲝᲤᲘᲝ.

— ᲑᲔᲑᲘᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲘᲔᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔ, ᲛᲘᲣᲡᲐᲘᲝᲤᲝᲗ ᲪᲔᲪᲚᲡᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡ, ᲛᲔ ᲙᲘ ᲛᲐᲜᲐᲛ ᲚᲝᲒᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲐᲮᲚ. ᲓᲐᲤᲐᲪᲘᲪᲮᲝᲑᲓᲐ ᲗᲣ ᲠᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲛᲔ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ.

— ᲰᲛ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲔᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ.

ᲚᲐᲛᲐᲖᲘᲐ, ᲠᲐᲡ ᲓᲐᲡᲘᲠᲩᲔᲑᲘᲡᲐᲒᲜᲝᲗ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲔᲠᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ